PDF Eraser Free

დანართი №1

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს ბარაკონში „საექთნო საქმის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მაია ომიაძე

წევრები:

თათია კაციტაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს ბარაკონი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☒ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☒ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

☐ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	**შესაბამისი საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა**	**აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა**	**სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა**
საექთნო საქმე	105	88	3

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

IV. საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 27 დეკემბრის №1422465 ბრძანების საფუძველზე 2022 წლის 12 იანვარს განხორციელდა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შპს ბარაკონში (მისამართი: ანა პოლიტკოვსკაიას (ყოფილი ჯიქიას) N4, სართული 6) „საექთნო საქმის“ უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებით.
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა შპს ბარაკონში „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტის შესრულების შემოწმება.

ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის 2.2 კომპონენტთან დაკავშირებით და შეადგინა ვიზიტის დღის წესრიგი. კოლეჯში ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ და კოლეგიალურ ატმოსფეროში. ვიზიტის დღეს ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების ხელმძღვანელობას, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს, „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კოორდინატორებს, მოდულების განმახორციელებელ პირებს, ბიბლიოთეკარსა და პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი ორგანიზაციების წარმომადგენლებს. შემოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალური და საგანმანათლებლო/სასწავლო რესურსი. ვიზიტის დასასრულს, ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა ვიზიტის ფარგლებში გამოვლენილი მიგნებების კოლეჯის წარმომადგენლებისათვის გაცნობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VI. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

დაწესებულებას ვებგვერდზე განთავსებული აქვს განხორციელებული სამუშაოებისა და ჩატარებული კვლევების შესახებ ანგარიშები 2011 წლიდან 2021 წლის ჩათვლით, რაც დადებით შთაბეჭდილებას ქმნის ვიზიტორისათვის კოლეჯის მუდმივ მზაობასა და განვითარებასთან დაკავშირებით. კოლეჯის ფოიეში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია კოლეჯის მიღწევებისა და საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის მიერ ორგანიზებულ ეროვნულ კონფერენციებში პროფესიული განათლების მასწავლებელების მონაწილების დამადასტურებული სერტიფიკატები, პროფესიულ განათლებაში ინოვაციურ სწავლებასა და ინტერაქტიულ შეფასებასთან დაკავშირებით.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

წინა ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაცია „შპს ავერსი ფარმასთან“ გაფორმებულ ხელშეკრულებას დამატებოდა მატერიალური რესურსების ჩამონათვალი, რომლებიც გატანილია მისაღწევი სწავლის შედეგების შესაბამისად პრაქტიკის ბაზაზე - აღნიშნული რეკომენდაცია შესრულებულია და პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებულ ყველა ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია ზემოაღნიშნული მოთხოვნა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VIII. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

ვიზიტის ფარგლებში ხარვეზი არ დაფიქსირებულა.

IX .სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

ვიზიტის ფარგლებში სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციები არ გაცემულა.

X. . განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ვიზიტის ფარგლებში განმავითარებელი რეკომენდაციები არ გაცემულა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

XII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

პროგრამის სახელწოდება	საექთნო საქმე
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით N36, 17.06.2019; ბოლო ცვლილება შესულია დირექტორის ბრძანებით N106, 30.11.2021
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას (ყოფილი ჯიქიას) N4, სართული 6
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	180
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	210

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

XIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება		
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი		სრული
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება		
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება		

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
შპს ბარკონი საგანმანათლებლო საქმიანობას „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ახორციელებს ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას (ყოფილი ჯიქიას) N4-ში, მე-6 სართულზე, სადაც შესწავლილი დოკუმენტაციითა და ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია შესაბამისად აღჭურვილი ერთი AC გარემო (აუდიტორია N15), 25 ორადგილიანი მერხითა და სკამით და ერთი A გარემო (აუდიტორია N9), 22 ორადგილიანი მერხითა და სკამით. პროგრამის განსახორციელებლად გათვალისწინებულია ასევე სათანადოდ აღჭურვილი ორი B გარემო - კომპიუტერული ლაბორატორია - 20 და 10 პროფესიულ სტუდენტზე, ზოგადი მოდულის, „საინფორმაციო ტექნოლოგიები - საექთნო საქმეში“ მისაღწევად.

ერთცვლიანი სწავლების პირობებში მხოლოდ AC გარემოსა და A გარემოს რესურსი შეადგენს ჯამში 94 პროფესიულ სტუდენტს, ხოლო ორცვლიანი სწავლების პირობებში 188-ს. საექთნო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, აუდიტორიები გათვალისწინებულია 30-30 პროფესიული სტუდენტისთვის. პროგრამაზე სამწლიანი სწავლების პირობებში, თითოეული აუდიტორია დატვირთულია მხოლოდ პირველი წელიწადნახევრის განმავლობაში, ხოლო პროგრამის მეორე წელიწადნახევარი (კლინიკური მოდულები) ხორციელდება პრაქტიკის ობიექტებზე, მათი გამტარიანობისა და პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. ადამიანური, მატერიალური და პრაქტიკის ობიექტების რესურსების გათვალისწინებით, საექთნო საქმის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე შესაძლებელია პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა 180 პროფესიულ სტუდენტამდე. კოლეჯში განთავსებულია სველი წერტილები (მათ შორის, შენობის პირველ სართულზე განთავსებულია ადაპტირებული სველი წერტილი სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტებისათვის) და შენობის შემოსასვლელში დამონტაჟებულია პანდუსი.

საექთნო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა ეფუძნება შრომის ბაზრის მოთხოვნებს. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი განაცხადის თანახმად, სტატისიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით ექთნების დეფიციტია. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციით, ექთნებისა და ექიმის თანაფარდობა 4:1-ზე უნდა იყოს, მაშინ როდესაც ექთნისა და ექიმის თანაფარდობა ერთსაც არ უტოლდება. შესაბამისად, ჯანდაცვის სიტემა და მოსახლეობისათვის მიწოდებული მომსახურება არსებითად არის დამოკიდებული ქსელში მომუშავე კადრების რაოდენობაზე, მათ მომზადებასა და შენარჩუნებაზე. კვლევის ანგარიშის „მედდების საქმიანობის გარემოს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
მახასიათებლები და სამუშაოთი კმაყოფილება საქართველოში“ მიხედვით, დღესდღეობით საქრთველოში 13000-ზე მეტი ექთანია დასაქმებული, ხარისხიანი მუშაობისთვის კი, სპეციალისტთა მოსაზრებით საჭიროა ამ ციფრის 30000-მდე გაზრდა. კოლეჯმა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის ნაწილში ასევე იხელმძღვანელა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ განხორციელებული კვლევით, „შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტი“, კურაციოს მიერ ჩატარებული სიტუაციური ანალიზით, „ადამიანური რესურსი ჯანდაცვის სექტორში“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ჯანდაცვის და დაზღვევის ინსტიტუტისა და ბიზნესის სკოლის მიერ განხორციელებული კვლევით, „ექთნების საქმიანობის გარემოს მახასიათებლები და სამუშაოთი კმაყოფილება საქართველოში“ და საექთნო საქმის განვითარების სტრატეგიის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 16 ივლისის N334 დადგენილებით, რომლის თანახმად საქართველოს ჯანდაცვის სისტემა კვალიფიციური, საექთნო საქმის თანამედროვე კონცეფციის მქონე ექთნების მწვავე დეფიციტს განიცდის. სისტემაში დასაქმებული ექთნების 20%-მა 2014 წელს უკვე მიაღწია საპენსიო ასაკს. ექთნების რაოდენობა შემცირებულია ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით. მიუხედავად იმისა, რომ ეს მაჩვენებელი უკანასკნელი წლების განმავლობაში ზრდის დინამიკით ხასიათდება და 2017 წელს შეადგინა 509.0 (100 000 მოსახლეზე), ის მაინც საკმაოდ ჩამორჩება სხვა ქვეყნების მაჩვენებლებს.

კოლეჯის წარმომადგენლებთან და პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ კოლეჯი წლებია თანამშრობლობს სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებასთან, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულნი კურსდამთავრებულთა დასაქმების პროცესში. საექთნო საქმის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის მიზნით კოლეჯმა გააფორმა დამატებითი შეთანხმებები და ასევე გაზარდა კლინიკური მოდულების სწავლებაში ჩართული სამედიცინო დაწესებულებებისა და პრაქტიკის ინსტრუქტორთა რაოდენობა. კოლეჯი ზემოაღნიშნულ პროგრამაზე მიღებას ახორციელებს 2019 წლიდან და შესაბამისად ჯერ არ ჰყავს კურსდამთავრებული.

„საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, პრაქტიკული კომპონენტების განხორციელების მიზნით, გაფორმებულია ხელშეკრულებები შემდეგ ობიექტებთან: შპს „თბილისის ცენტრალური საავადმყოფო“ (N5-07/19, 19.04.19); შპს „პინეო სამედიცინო ეკოსისტემა“ (N5-06/19, 26.03.19), შპს „ქალაქ თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
(N5-15/19, 29.05.19); შპს „თბილისის პედიატრიული პრივატ კლინიკა“ (29.05.2019), შპს ლ. მანაგაძის სახელობის „ურولოგიის ეროვნული ცენტრი“ (N5-07/21, 01.10.2021), „ინფექციური პათოლიგიის შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამედიცინო პრაქტიკული ცენტრი“ (N5-20/19, 05.06.2019), სს „ევექსის ჰოსპიტლები“ (N5-21/19, 10.06.2019), ა(ა)იპ „საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასი“ (24.02.2021), შპს „ჰერა 2011“ (N5-08/21, 05.11.2021), სს „კ. ერისთავის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ეროვნული ცენტრი“ (N5-11/21, 25.11.21), შპს „აკადემიკოს ვახტანგ ბოჭორიშვილის კლინიკა“ (N5-12/21, 22.11.2021).

აღნიშნულ კლინიკებთან გაფორმებული ხელშეკრულებები მოიცავს ინფორმაციას, თუ რომელი კლინიკური მოდულების განხორციელებას და რამდენი პროფესიული სტუდენტის მიღებას უზრუნველყოფს პრაქტიკის ობიექტი ერთ ეტაპზე/ერთი სასწავლო წლის განმავლობაში, იმ გაანგარიშებით, რომ კლინიკური სწავლების განმახორციელებელი ექთნისა და პროფესიული სტუდენტების თანაფარდობა დაცული იყოს 1/7-თან. დაწესებულების საგანმანათლებლო სივრცეები, ასევე პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი კლინიკები თავის მფლობელობაში არსებული მატერიალური აღჭურვილობითა და რესურსებით, უზრუნველყოფენ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2. **პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას**

კოლეჯის მიერ წარმოდგენილი მასალების მიხედვით, ირკვევა, რომ „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 30 პროფესიული განათლების მასწავლებელი (მათ შორის ზოგად მოდულებს ახორციელებს - 9 (2 – „უცხოური ენა - საექთნო საქმეში (ინგლისური)“, 3 – „კომუნიკაცია საექთნო საქმეში“, 2 - „საინფორმაციო ტექნოლოგიები-საექთნო საქმეში“, 2 - ქართული ენა A2/B1), პროფესიულ მოდულებს - 25 პროფესიული განათლების მასწავლებელი და კლინიკური მოდულებს - 36 პრაქტიკის ინსტრუქტორი. ექსპერტთა ჯგუფის მიერ კოლეჯ ბარაკონში განხორციელებული ვიზიტის დროს დადგინდა, რომ პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვა არ აღემატება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ნორმას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

აღნიშნული პუნქტის შეფასების მიზნით, ექსპერტებმა გადამოწმეს „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირების პირადი საქმეები (კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია), შემოწმების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლები ფლობენ პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენციას. ექსპერტები გაესაუბრნენ „დოზირების პრინციპები საექთნო საქმეში“, „ინფექციის კონტროლის საფუძვლების“, „სამართლებრივი ასპექტები საექთნო საქმეში“, „ბიოქმიისა“ და „მიკრობიოოლოგიის“ განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებს. გასაუბრება შედგა პირისპირ/დისტანციურ ფორმატში ZOOM - ის აპლიკაციის მეშვეობით. ექპერტთა მხრიდან შეკითხვები ეხებოდა მოდულების სწავლებასა და შეფასებას, მოდულის თემატიკიდან გამომდინარე სწავლის შედეგების გაყოფის დასაშვებობას კომპეტენციის გათვალისწინებით. შედეგად გამოიკვეთა, რომ აღნიშნული მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენცია, სწავლებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების გამოცდილება, ჩართულნი არიან შეფასების ინსტრუმენტების ბანკის შექმნაში, პროგრამის შემუშავების ნაწილში, გამოხატავენ მუდმივ მზაობას ტრენინგებში მონაწილებასა და სწავლების ინოვაციური მიდგომების დანერგვასთან დაკავშირებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

„საექთნო საქმის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს ორი კოორდინატორი, რომლებთანაც 2019 წლის 17 ივნისსა და 2021 წლის 01 დეკემბერს გაფორმებულია მომსახურების ხელშეკრულებები. აღსანიშნავია, რომ პროგრამიის კოორდინატორები ამავდროულად არიან პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელები და აკმაყოფილებენ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს, აქვთ სამედიცინო განათლება და შესაბამის დარგში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. კოლეჯის შინაგანაწესით გაწერილი პირადი საქმის წარმოების წესის თანახმად წარმოდგენილი აქვთ კვალიფიკაციისა და პროფესიული გადამზადების დამადასტურებელი დოკუმენტები.

პროგრამის კოორდინატორებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ორივე კოორდინატორი ჩართულია პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში, პერიოდულად ახორციელებენ სალექციო საათებზე დასწრებას და მონაწილეობენ შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის პროცესსა და ბანკის შექმნაში. აქტიურად თანამშრომლობენ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან და აწვდიან მათ დროულ ინფორმაციას საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დეტალებთან და დარგის სიახლეებთან დაკავშირებით.
პროგრამის კოორდინატორების გადმოცემით, კურსდამთავრებულთა საკვალიფიკაციო გამოცდები უზრუნველყოფს მზა კადრის შერჩევა/შეფასებას და აღნიშნული მონაცემების საფუძველზე იმსჯელებენ დარგობრივი საბჭოსთვის მიმართვაზე პროგრამის გადახედვასთან დაკავშირებით. აღნიშნავენ, რომ პროგრამით გათვალისწინებული თემატიკა საკმაოდ რთულია და მხოლოდ სრული ზოგადი განათლება ვერ პასუხობს „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გამოწვევებს.
პროგრამის კოორდინატორის უფლება - მოვალეობები ასევე გაწერილია კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 10 ივნისის N32 ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო პროგრამებისთვის/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
საწარმოო პრაქტიკის/პრაქტიკული კომპონენტის გავლის ინსტრუქცია“-ში და საჯაროდ განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდზე.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

ვიზიტის ფარგლებში მოხდა საბიბლიოთეკო სივრცის დათვალიერება, ბიბლიოთეკართან გასაუბრება და „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსების გადამოწმება რანდომული წესით. გადამოწმების შედეგად ადგილზე აღმოჩნდა ექსპერტის მიერ დასახელებული ლიტერატურა, როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული სახით. რესურსების ხელმისაწვდომობას აადვილებს ის ფაქტიც, რომ კოლეჯი აქტიურად იყენებს ელექტრონულ ბიბლიოთეკას (open biblio) და ბეჭდური წიგნების კატალოგი განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდზე.

კოლეჯის ბიბლიოთეკართან გასაუბრებით დადგინდა, რომ სასწავლო ლიტერატურის მატერიალურად სარგებლობასთან დაკავშირებით მომართვიანობა შედარებით ნაკლებია, ვინაიდან ეპიდსიტუაციიდან და დისტანციური სწავლებიდან გამომდინარე პროფესიული სტუდენტები აქტიურად იყენებენ ელექტრონულ ბიბლიოთეკას (open biblio). გარდა ელექტრონული ბიბლიოთეკით სარგებლობისა, საექნთო ლიტერატურის ელექტრონულად ხელმისაწვდომობას პროფესიული სტუდენტისათვის უზრუნველყოფს ბიბლიოთეკარი/პროფესიული განათლების მასწავლებელი ელექტრონულ ფოსტაზე მოთხოვნილი მასალის გადაგზავნის გზით. აღნიშნულის გათვალისწინებით, დასტურდება, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით, საბიბლიოთეკო წესით დამუშავებული სასწავლო რესურსით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად

კოლეჯის წარმომადგენლებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ „საექთნო საქმის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ამ ეტაპზე არ ირიცხება არცერთი სსსმ/შშმ პირი და შესაბამისად არ დამდაგარა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროება. ექსპერტთა მხრიდან შესწავლილ იქნა სსსმ პირებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების რეგულაცია, რომელიც საჯაროდ ხელმისწავდომია კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებულ სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში. რეგულაციის თანახმად ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ეფუძნება პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიმდინარე შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება - მოდულის მოთხოვნებთან მიმართებით.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ „საექთნო საქმის“ საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტში, აღწერილია შემოსავლები და ხარჯები. პროგრამის შემოსავალია ვაუჩერული დაფინანსება. კოლეჯის მიერ რენტაბელობის ზღვარი განსაზღვრულია 14 პროფესიული სტუდენტით, რომლის ფარგლებშიც პროგრამის შემოსავალი 125034 (ასოცდახუთიათასოცდათოთხმეტი) ლარს შეადგენს. მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის ბიუჯეტში გაწერილია სხვადასხვა ხარჯები (პროგრამის განმახორციელებელი პირების ანაზღაურება, ადმინისტრაციული, მასალა-ნედლეულის, კომუნალური, საიჯარო და სხვა). ამდენად, აღნიშნული პროგრამის განხორციელების ფინანსური მდგრადობა უზრუნველყოფილია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სრული პაკეტით;
- კვლევებით;
- პროგრამის განმახორციელებლი პირების პირადი საქმეებით;
- პროგრამის კოორდინატორებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით;
- პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით (ბრძ. №07/23.01.2018, ბოლო ცვლ. №102/25.11.2021);
- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესით (ბრძ. №37/18.06.2019წ);
- შინაგანაწესით (ბრძ. №55/16.11.2017, ბოლო ცვლილება განხორციელებულია ბრძ. №32 /19.06.2020);
- საგანმანათლებლო პროგრამებისთვის/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის საწარმოო პრაქტიკის/პრაქტიკული კომპონენტის გავლის ინსტრუქციით (ბრძ. №32/10.06.2019, ბოლო ცვლილება განხორციელებულია ბრძ. №101/25.11.2021);
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით (ბრძ. №54/12.08.2021);
- ინდივიდუალური სასწავლი გეგმის შემუშავების წესით (ბრძ. №54/12.08.2021);
- პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელ კლინიკებთან დადებული ხელშეკრულებებით;
- პროგრამის ბიუჯეტით;
- კოლეჯის წარმომადგენლებთან ჩატარებული გასაუბრებით;
- ვებგვერდი - https://barakoni.edu.ge

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

XIV. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი.

03.02.2022 წელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: